ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის ზედამხედველობის საქალაქო
სამსახური

KA010121224934615

№16/56446

17 / ნოემბერი / **2015** წ.

შპს ბგპ.

საქართველო, ქ. თბილისის, ისანი-სამგორის
რაიონი, კაიროს ქ., №42

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში თქვენს მიერ შემოსული #57013/07 განცხადების პასუხად გეგზავნებათ ბრძანება ობიექტის ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

დანართი „ 2" (ორი) ფურცელი

ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის
უფროსის მოადგილე

გიორგი გეჯაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ 8-57013/07
"11" 11 2015 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სექტორი სამგორი, კაიროს ქუჩა №42-ში (საკ. კოდი №01.19.22.008.065) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (არსებული შენობის რეკონსტრუქცია) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №2243979 16.10.2015წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, სექტორი სამგორი, კაიროს ქუჩა №42-ში მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

„1-9" ფასადი: +0.30 ნიშნულზე „2-3", „5-6" და „8-9" მონაკვეთში შეცვლილია ფანჯრის ნახატი. +13.00 ნიშნულზე „4-5" მონაკვეთში აივანზე არ არის მოწყობილი მოაჯირი. ასევე „7-8" მონაკვეთში შეცვლილია კარის ნახატი.

„დ-ა" ფასადი: მონაცვლებულია წყალშემკრები მილი.

„9-1" ფასადი: „6-5" მონაკვეთში განთავსებულ აივნებზე ვიტრაჟებში დამატებით მოწყობილია კარები. „1-1" ღერძზე არ არის მოწყობილი წყალმიმღები მილი. +4.25 ნიშნულზე „1-1" ღერძის მიმდებარედ ფანჯარას შემცირებული აქვს გაბარიტი. ფასადზე აივნების რიკულების მიმდებარე კედლებს ნაწილობრივ შეცვლილი აქვს გაბარიტი. „5-1" მონაკვეთში აივნებს და ფანჯრებს ნაწილობრივ ადგილმდებარეობა აქვთ მონაცვლებული ერთმანეთში.

+16.65 ნიშნულზე შეცვლილია სამერცხლეების გაბარიტი და აღნიშნულ სამერცხლეებს მონაცვლებული აქვს ადგილები.

სართულებზე შეცვლილია კიბეების კონსტრუქციული სქემა და კიბის მიმდებარედ შემცირებულია ლითონის სვეტების რაოდენობა. ასევე შეცვლილია რიგელების რაოდენობა. კარის და ფანჯრის ღიობებს ნაწილობრივ მონაცვლებული აქვთ ადგილმდებარეობა და შეცვლილი აქვთ გაბარიტი. ღიობებში ნაწილობრივ მოსაწყობია ვიტრაჟები და ასევე საპროექტო ვიტრაჟებში ჩასასმელია მინაპაკეტები. ასევე ფასადებზე ნაწილობრივ შეცვლილია აივნების მოაჯირების მიმდებარედ არსებული კედლების გაბარიტი. ფასადებზე ნაწილობრივ შეცვლილია ლესვის ნახატი, ფერი და შესაღებია. ტერიტორია არ არის მოწესრიგებული სართულშუა გადახურვის ფილებში დამატებულია საკომუნიკაციო ღიობები და საპროექტო ღიობებს ნაწილობრივ შეცვლილი აქვს ადგილმდებარეობა. შანსარდში დამატებით მოწყობილია ლითონის კონსტრუქციები. სამრეცხლეებს ფასადზე მიკრული აქვს ყავისფერი თუნუქის ფურცლები. შეცვლილია ლითონის მოაჯირების ფერი და ნაწილი შესაღებია. ნაწილობრივ შეცვლილია სართულშუა გადახურვის ფილების მასალა. საწვიმარი მილების მოწყობა არ არის დასრულებული. ტერიტორია არ არის მოწესრიგებული.

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე, მუხლის ა.ს.კ. მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005წ. №140-ე დადგენილების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „კ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შპს „ბგპ"-ს თანადირექტორებს: ბაკურ სულაკაურს, გელა კანდელაკს, პაატა სამარგულიანს, ქ. თბილისში, სექტორი სამგორი, კაიროს ქუჩა №42-ში (საკ. კოდი №01.19.22.008.065) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (არსებული შენობის რეკონსტრუქცია) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №57013/07 21.10.2015წ. განცხადება.

სამსახურის უფროსის მოადგილე **გიორგი გეჯაძე**